ანგარიში 2022

1. ავტორიზაციის პროცესები

2022 წლის სექტემბერში კოლეჯს ეწურებოდა ავტორიზაციის ვადა. გამომდინარე აქედან დაწესებულებაში დაიწყო ავტორიზაციის ახალი სტანდარტების შესაბამისად თვითშეფასების პროცესის განხორციელება. ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, გადაიხედა და გაიწერა ახალი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები, გადამუშავდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, გადამზადდა პროფესიული განათლების მასწავლებლები, შეძლებისდაგვარად განახლდა სასწავლო ლაბორატორიებში დარგის შესაბამისი აღჭურვილობები, გაფორმდა მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან და ა. შ.

2022 წლის თებერვალში კოლეჯმა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინა საავტორიზაციო განაცხადი ავტორიზაციის საფასურის გადახდის ქვითართან ერთად (60 979,00 ლარი), რომელიც მოიცავდა ორ ლოკაციაზე - ქობულეთსა და ხულოს მისამართებზე, ჯამში 33 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დამატებას და

2022 წლის 02-06 მაისს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის ჯამში 29 ექსპერტმა განახორციელა ვიზიტი 3 ჯგუფად. ექსპერტებმა შეისწავლეს ჩვენს მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია, ფაქტობრივი მდგომარეობა და შეიმუშავეს ექსპერტთა დასკვნები. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა 2022 წლის 5 აგვისტოს. ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით კოლეჯს ექვსი წლის ვადით მიენიჭა უფლებამოსილება ქობულეთის მისამართზე განახორციელოს 27 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ხოლო ხულოს მისამართზე კი 6 პროგრამა, ჯამში - 1217 პროფესიულ სტუდენტზე.

2. სასწავლო პროცესი

ქვეყანაში ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე 2022 წლის დასაწყისში სსიპ კოლეჯში „ახალი ტალღა" სასწვლო პროცესი ხორციელდებოდა შერეულ (ჰიბრიდულ) რეჟიმში, თუმცა 2022 წლის 15 მარტიდან სასწავლო პროცესი ეტაპობრივად გადავიდა პირისპირ დასწრების რეჟიმზე, ხოლო მაისიდან სასწავლო პროცესი სრულად ხორციელდებოდა ადგილზე, დასწრების რეჟიმში. შერეული (ჰიბრიდული) სწავლების ეფექტურად განხორციელების მიზნით რეგულარულად ხორციელდებოდა სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია და მორგება სასწავლო და სტუდენტთა ინტერესებზე.

2022 წლის 7 ნოემბერს წარმატებით დასრულდა ახალი სასწავლო წლისთვის აპლიკანტთა შერჩევისა და მიღების პროცესი. ახალი მიღებისათვის კოლეჯმა გამოაცხადა 864 ადგილი 32 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. დარეგისტრირდა ჯამში 1228 აპლიკანტი, რაც წინა წელთან შედარებით 20%-ით მეტი იყო. კოლეჯში ჩაირიცხა 862 პროფესიული სტუდენტი. მ. შ. 125 სტუდენტი ხულოს ფილიალში. 2022 წლის მიღებისათვის კოლეჯში, ჯამში წინა მიღებებთან ერთად ირიცხებოდა 1150 სტუდენტი, მ. შ. ინდივიდუალური პრაქტიკული მოსინჯვის გზით ჩაირიცხა 8 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.

2022 წლის მიღებაზე ჩარიცხული სსსმ/შშმ პროფესული სტუდენტებისათვის განხორციელდა სხვადასხვა სახის მხარდაჭერა: კერძოდ 3 სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის სატრანსპორტო მომსახურებით უზრუნველყოფა (გადაადგილების მხარდაჭერა საცხოვრებელი

ადგილიდან კოლეჯამდე და უკან); 1 სტუდენტისთვის, საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით, განხორციელდა ჟესტური ენის თარჯიმნის უზრუნველყოფა; 3 სტუდენტისათვის კი ინდივიდუალური ასისტენტების მომსახურების უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დაასრულა და პროფესიული კვალიფიკაცია მიენიჭა 619 კურდამთავრებულს. მათ შორისაა 4 სსსმ პირი.

სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს სხვადასხვა მიდგომით, მათ შორის კოოპერაციულ სწავლებას, რომლის ფარგლებში კრედიტების 50%ზე ნაკლები გატანილია სასწავლო საწარმოებში. მინდა წარმატებული თანამშრომლობა აღვნიშნო შპს „ავერსი ფარმასთან," სადაც ვახორციელებთ „ფარმაციის" საგანმანათლებლო პროგრამას და სს „ევექსის კლინიკები", რომელიც ჩართულია „საექთნო განათლების" პროგრამის განხორციელებაში, ასევე ხულოს ფილიალში წარმატებით ხორციელდება სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან და კოოპერატივ „რკ ნიასთან" ერთად პროგრამა „ვეტერინარია".

კოლეჯი ახორციელებს პროგრამებს რეალურ სამუშაო გარემოშიც (დუალური მიდგომით). როდესაც სწავლების 51 % გატანილია პარტნიორ კომპანიებში. საანგარიშო პერიოდისთვის განვახორციელეთ შედუღების, კულინარიის ხელოვნების, სარესტორნო მომსახურების და სასტუმრო მომსახურების ჯგუფებში შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდები საქართველოს ტურიზმის ასოციაციისა და GIZ-ის მხარდაჭერით.

2022 წელს წარმატებით დაასრულა დუალური პროგრამები და დიპლომები საზეიმო ვითარებაში გადაეცა 18 კურსდამთავრებულს.

კოლეჯი აგრეთვე ახორციელებს ინტეგრირებულ პროგრამებს, რომლის მიმართ საზოგადოების დაინტერესება ნელ-ნელა იზრდება. მიმდინარე პერიოდში სამი ინტეგრირებული პროგრამა ხორციელდება ორი მიღების ფარგლებში. 2023 წლისთვის უკვე გვეყოლება აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულები, დავიწყეთ მუშაობა პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების მიღწევების შეფასების მიზნით. ინტეგრირებული პროგრამების ცნობადობის გაზრდის მიზნით ხშირად ვახორციელებთ სხვადასხვა ტიპის აქტივობებს, კერძოდ, გავდივართ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო და კერძო სკოლებში, გვაქვს შეხვედრები მოსწავლეებთან. ასევე ქობულეთის მუნიციპალიტეტის რესურცენტრში, დავესწარი მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების დირექტორების თათბირს და მათ გავაცანი - რა არის ინტეგრირებული პროგრამა და რა შესაძლებლობებს აძლევს ჩვენს ახალგაზრდებს.

წარმოგიდგენთ 2022 წლის პროფესიული სტუდენტთა მოძრაობის სტატისტიკას:

- მიმიდნარე ჯგუფების რაოდენობა ორივე ლოკაციაზე - 97;
- 2022 წლის მიღება - 862 პროფესიული სტუდენტი ;
- მიმდინარე პროფესიული სტუდენტი - 1150;
- გადავადებული პროფესიული სტუდენტი - 4 ;
- სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტი - 58;
- 2022 წლის იანვრიდან დღემდე პერიოდში სტატუსი შეუწყდა 177 პროფესიულ სტუდენტს;
- 2022 წლის იანვრიდან დღემდე კვალიფიკაცია მიენიჭა 619 პროფესიულ სტუდენტს;

კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად ხორციელდება პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამები. კოლეჯს მოპოვებული აქვს უფლება განახორციელოს ჯამში სხვადასხვა მიმართულების 24 პროფესიული მომზადების პროგრამა.

2022 წლის განმავლობაში განხორციელდა 22 პროფესიული მომზადების პროგრამა, რომელზეც ჩაირიცხა 154 მსმენელი. პროგრამა დაასრულა და სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი აიღო 109 კურსდამთავრებულმა.

აღსანიშნავი და სასიხარულო ფაქტია მთელი ჩვენი გუნდისთვის, რომ პროფესიული მომზადების პროგრამამ "კერძების მომზადების ტექნოლოგია" მიიღო ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო | MCA - Georgia მიერ გამოცხადებულ კონკურსში 2022 წლის პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო.

3. ხარისხის განვითარება

კოლეჯში ხარისხის განვითარების მიზნით განხორციელდა მთელი რიგი აქტივობები, კერძოდ, მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა/გაუმჯობესება:

- 10/08/2018 წლის N01-04/122 ბრძანებით დამტკიცებულ " პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში" ახალი ავტორიზაციის სტანდარტების საფუძველზე შევიტანეთ ცვლილებები და დავამტკიცეთ მოდიფიცირებული "პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია".
- „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური განვითარების მხარდაჭერის HR&OD სისტემების ხარისხის ამაღლებით" პროექტის ფარგლებში, კოლეჯის წარმომადგელებისა და ექსპერტების ჩართულობით შემუშავდა ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის შერჩევის წესი და პირობები.
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური განვითარების მხარდაჭერის HR&OD სისტემების ხარისხის ამაღლებით" პროექტის ფარგლებში, კოლეჯის წარმომადგელებისა და ექსპერტების ჩართულობით შემუშავდა ახალი თანამშრომლის სამუშაოსთან ადაპტაციისა და ორგანიზაციასთან ინტეგრაციის წესი.
- შემუშავდა და დამტკიცდა „სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა" თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების წესი" (ბრძანება 01-04/152 26.08.2022წ).
- საქართველოს მთავრობის N416 დადგენილების საფუძველზე, მომზადდა ცვლილებები სსიპ კოლეჯის "ახალი ტალღა" 2020 წლის 13 ივლისის №01-04/112 ბრძანებით დამტკიცებულ "სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში" და შემუშავდა მოდიფიცირებული "სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი", სადაც ინტეგრირებულია "შუალედური შეფასების წესი".(ბრძანება 01-04/214 09.11.2022)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით საანგარიშო პერიოდში ჩატარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება;

გადაიხედა და განხორციელდა ცვლილებები 25 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში. ცვლილებები შეეხო სახარჯ ნედლეულ-მასალას და სასწავლო რესურსს;

განხორციელდა 14 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შიდა ვერიფიკაცია

4. სტუდენტური სერვისები

კოლეჯი აქტიურად ახორციელებს პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების მხარდამჭერ საქმიანობას. ამ მიზნით არაერთი აქტივობა განხორციელდა.

პროფორიენტაციის მიზნით განხორციელდა შეხვერდები მოსწავლეებთან ქობულეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში. ასევე, მინიციპალიტეტის რესურსცენტრთან შეთანხმებით ხორციელდება სკოლის მოსწავლეთა ვიზიტი კოლეჯში. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ასეთი 36 ვიზიტი.

სწავლის დაწყებიდან კოლეჯის შესაბამის სამსახურებთან ერთად განხორციელდა ახალჩარიცხულ სტუდენტთა ინფორმირება კოლეჯის მისიის, ხედვის, სტრატეგიის, პროგრამებისა და სხვა საჭირო ინფორმაციის მიწოდების მიზნით. პროფესიული სტუდენტებს გავაცანით კოლეჯის ოფიციალური ვებ გვერდი და სოციალური ქსელები.

გარდა აღნიშნულისა სტუდენტური სერვისების გაძლიერების და კოლეჯის საქმიანობის ცნობადობის გაზრდის მიზნით განხორციელდა რიგი აქტივობები:

- განათლების მიღების სოციალური ინკლუზიის ფარგლებში, 18 ნოემბერს, კოლეჯს სტუმრობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენლები, რომლებსაც გავაცანით კოლეჯში მიმდინარე პროცესები და ფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობები.
- კოლეჯმა წარმატებით უმასპინძლა ბიზნეს კომპანიების წარმომადგენლებს სხვადსხვა ბიზნეს სექტორიდან, მათ შორის: სასტუმრო "გრანდგლორიას," „მისტრალსაზღვაო სააგენტოსა" და „MSC Cruise Lines" წარმომადგენლებს. შეხვედრის მთავარი მიზანი სამომავლო თანამშრომლობა და სტუდენტთა სწავლის შემდგომი დასაქმება იყო.
- კოლეჯში, გასული წლის 29 ნოემბერს მოეწყო ტრენინგი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს არაფორმალური განათლებისა და დებატების ინსტიტუტის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, თემაზე "სამუშაო მაძიებელთათვის", რომლის ფარგლებში მოწვეულმა ტრენერმა განავრცო თემა კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან, დასაქმების ხელშეწყობის საკითხებზე. ტრენინგზე განხილული იქნა დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის წარმატებული ურთიერთობის წინაპირობები.
- 2022 წლის 8 დეკემბერს, კოლეჯის წარმომადგენელი მონაწილეობდა ევროკავშირის მხარდაჭერით „ცოდნისა და უნარების განვითარების ქსელებისა და პლატფორმების გაძლიერების პროექტი (LINKS) „განათლება დასაქმებისთვის" პროგრამის ფარგლებში გამართულ შეხვედრაში, სასტუმრო ჰილტონ ბათუმში. ამავე პროექტის ფარგლებში განახორციელა გაცვლითი ვიზიტები ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის პროფესიულ სასწავლებლებში.
- 8 ნოემბერს კოლეჯში მოვაწყვეთ სწავლის დაწყების აღსაღნიშნავად ღონისძიება, სადაც ახალჩარიცხულ სტუდენტებს გავაცანით კოლეჯი, ჩვენი ხედვები, მიზნები. ვუსურვეთ წარმატებული სასწავლო წელი.

კოლეჯი აქტიურად ჩაერთო ა(ა)იპ პროფესიული უნარების განვითარების სააგენტოს მიერ ქვეყნის მასშტაბით ორგანიზებულ 2020-2021 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის პროცესში. განხორციელდა კოლეჯის 939 კურსდამთავრებულთან სატელეფონო კომუნიკაცია და კითხვარების შევსება. აღნიშნული კითხვარი დღევანდელი მდგომარეობით სულ შეავსო 436 კურსდამთავრებულმა. აღნიშნული კვლევების ანალიზი იგეგმება 2023 წლის თებერვალში.

5. ადამიანური რესურსების განვითარება

კოლეჯი მუდმივად ზრუნავს პროფესიულ მასწავლებელთა განვითარებაზე. ხშირად ვიყენებთ შიდა რესურსებს, კერძოდ ვატარებთ შიდა ტრენინგებს სწავლების და შეფასების მეთოდებზე. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 23 ასეთი შიდა ტრენინგი. გარდა შიდა გადამზადებისა:

- 2022 წლის ნოემბერში კოლეჯის პროფესიული მასწავლებლებისთვის განხორციელდა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით ტრენინგ-კურსი: "ლინუქსის საფუძვლები" და "საპრეზენტაციო პროგრამაში მუშაობა (MS PowerPoint)". ჯამში გადამზადდა 22 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

- 2022 წლის დეკემბერში კოლეჯის 26 პედაგოგი ჩაერთო ა(ა)იპ პროფესიული უნარების განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებულ ტრენინგში „სწავლა - სწავლების თანამეროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასება"
- კოლეჯი მასპინძლობდა SES ექსპერტს, რომელმაც გადაამზადა „ხის მხატვრული დამუშავების" პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლები, მასტერ-კლასები ჩაუტარა პროფესიულ სტუდენტებს.
- კოლეჯის დირექტორმა გაიარა ESB - "ევროპის ბიზნეს სკოლის" ტრენინგები „ტოპ მენეჯმენტის სრული CEO პროგრამა დამფუძნებლებისთვის, დირექტორებისთვის, ხელმძღვანელებისთვის". ეს არის ოთხი მოდული ერთ პროგრამაში: ფინანსები არაფინანსისტი ტოპ-მენეჯერებისთვის; ბრენდინგი, მარკეტინგი და გაყიდების მართვა; ლიდერობა, მართვა & HR; პროექტების მართვა. კურსს უძღვებოდა ხუთი საერთაშორისო ბიზნეს-ტრენერი. კურსი დავასრულე წარმატებით და ავიღე შესაბამისი

6. ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტები

საანგარიშო პერიოდში კოლეჯი აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში:

- Erasmus + პროექტის ფარგლებში, რომელსაც კოლეჯი ახორციელებს პოლონეთის რესპუბლიკის ქ.ობორნიკის ადამ მიცკევიჩის სახელობის სკოლასთან, განხორციელდა გაცვლითი პროგრამა, სტუმართმასპინძლობის სფეროს მიმართულებით. პროექტის ფარგლებში კოლეჯის 18 პროფესიული სტუდენტი, ერთი პროფესიული განათლების მასწავლებლი და 2 ადმინისტრაციის წევრი, 7 დღიანი ვიზიტით იმყოფებოდა პოლონეთში.
- პოლონეთის ქალაქ მილიცის სატყეო სკოლასთან თანამშრომლობის ფარგლებში 2022 წელის სექტემბერში განხორციელდა სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა" 2 პროფესიული განათლებლის მასწავლებელის და ერთი ადმინისტრაციის წევრის 7 დღიანი ვიზიტი პოლონეთში, ვიზიტის მიზანი იყო სატყეო საქმის პროფესიული პროგრამის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობა.
- ესტონეთის ქალაქ ვალგას პროფესიულ სასწავლებელთან თანამშრომლობის ფარგლებში ორწლიან უფასო სწავლების მიზნით ლოგისტიკის პროგრამაზე 2022 წელის სექტემბერში გაემგზავრა კონკურსით შერჩეული 3 პირი.
- ამავე სასწავლებელში კულინარიის პროგრამის მიმართულებით სტუდენტის სასწავლო მიზნით გაგზავნისთვის გამოცხადებულია კონკურსი და მიმდინარეობს განცხადებების მიღება.
- 2020 წლის 2 ივნისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციის საფუძვლეზე, სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღა" გახდა ,,ქსელი სრულყოფილებისთვის" ETF წევრი. 2022 წლის განმავლობაში კოლეჯი ჩართული იყო ქსელის ყველა აქტივობაში, 2022 წლის ნოემბერში კოლეჯის სახელით საერთაშორისო პროეტების მენეჯერთან და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელთან ერთად ვიმყოფებოდით ესპანეთის ქალაქ სან-სებასტიანში საერთაშორისო ფორუმში მონაწილეობის მიზნით, სადაც ერთერთი სპიკერი იყო ჩვენი კოლეჯი. ჩვენთან ერთად ფორუმზე იმყოფებოდა კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციის სასტუმრო „ჯორჯია პალასის" თანამშრომელი.
- კოლეჯი აქტიურადაა ჩართული პროექტში „ჩემი სახლის მმართველი–შესაძლებლობები ნდობის მშენებლობისთვის (ჰაუსმასტერი 4)", რომელიც ხორციელდება „ინიციატივა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისთვის აღმოსავლეთ ევროპაში" (IWO e.V), „განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის" (EDEC) და საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთის" (CHCA) მიერ გერმანიის ფედერალური საგარეო

უწყების ფინანსური მხარდაჭერით. პროექტი მიზნად ისახავს ტექნიკური მომსახურების სფეროში ახალი სერვისებისა და ე.წ. ,,ჰაუსმასტერის" პროფესიის დანერგვას საქართველოში.

11 სექტემბრიდან 17 სექტემბრამდე პროექტის „ჩემი სახლის მმართველი – შესაძლებლობები ნდობის მშენებლობისთვის (ჰაუსმასტერი 4)" ფარგლებში კოლეჯის წარმომადგენლები განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის (EDEC) , საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი აფხაზეთის (CHCA) პროფესიული კოლეჯების ,,ბლექსი", ,,კონსტრუტ 2'' და სამშენებლო კომპანია ,,ანაგის'' წარმომადგენლებთან ერთად სასწავლო ვიზიტით ჰამბურგში იმყოფებოდნენ. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება, GIZ-ის გაცვლითი პროგრამით, "ხის მხატვრული დამუშავების" პროგრამის ფარგლებში, ერთ კვირიანი სასწავლო ვიზიტით, კოლეჯში იმყოფებოდა გერმანიის პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებულები, რომლებმაც თავიანთი ცოდნა და გამოცდილება გაუზიარეს კოლეჯის სტუდენტებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ისინიც მოიხიბლენ ხეზე კვეთის ხელოვნებით, ჩვენს სტუდენტებთან ერთად დაამზადეს ხის ნაკეთობა ქართული ჩუქურთმით; ევროკავშირის EU, გაეროს განვითარების ფონდის UNDP და საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, არაფორმალური განათლების ცენტრთან „მზიანი სახლი" თანამშრომლობით კოლეჯში შეიქმნა ახალგაზრდული სივრცე ახალგაზრდების სრულფასოვანი მონაწილეობისა და საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზებისთვის.

- ევროკავშირის EU, გაეროს განვითარების ფონდის UNDP და საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, არაფორმალური განათლების ცენტრი - მზიანი სახლის მხარდაჭერით კოლეჯში განხორციელდა პროექტი "უკეთესი უწყვეტი განათლების შესაძლებლობები ადგილობრივი პარტნიორების დახმარებით" (CBLLL)
- საანგარიშო პერიოდში სსიპ კოლეჯს "ახალი ტალღასა" და სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს შორის 2022 წლის 16 სექტემბრის ხელშეკრულება N0508/01-ის საფუძველზე კოლეჯში განხორციელდა პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამები. სწავლის პროცესში ჩართული იყო 53 მსმენელი.
- გასულ წელს განხორციელდა სსიპ კოლეჯს ,,ახალი ტალღა'' და სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს შორის 2022 წლის 22 მარტს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N07-04/18 ხელშეკრულების ფარგლებში, კულინარიის ხელოვნების 500 საათიანი, ბართენდერის 450 საათიანი, სასტუმრო მომსახურების 450 საათიანი, ელექტროობის 450 საათიანი, შედუღების 450 საათიანი და მძიმე სამშენებლო ტექნიკის ოპერატორის 450 საათიანი პროფესიული მომზადების პროგრამები, სულ მომზადდა 49 მსმენელი.
- სსიპ კოლეჯს ,,ახალი ტალღა'' და ა(ა)იპ „ასოციაცია ერთმანეთისთვის" ს/კ 445491539 შორის 2022 წლის 22 სექტემბერს გაფორმებული N03-14/11 ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა ტრენინგ კურსები დაბა ხულოს ფილიალში. ტრენინგ კურსებია: სასტუმროს დეპარტამენტების მომსახურების თავისებურებები 28 საათი, მეწარმეობა 20 საათი, ინფორმაციული წიგნიერება 25. პროექტის ფარგლებში გადამზადდა ზემო აჭარის მოსახლეობის 34 მსმენელი, მ. შ. 6 შშმ პირი.

7. კონკურსები

კოლეჯი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა კონკურსებში. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ა(ა)იპ პროფესიული უნარების განვითარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული კონკურსები.

- ქობულეთის მუნიციპალიტეტის 18 საჯარო სკოლაში განვახორციელეთ საორიენტაციო კურსები, რომელიც ა(ა)იპ პროფესიული უნარების განვითარების სააგენტოს „სტუდენტური და პრესტუდენტური სერვისების განვითარების ხელშეწყობის" ქვეპროგრამის, საჯარო სკოლებში პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში იუო გამოცხადებული (წლის 22.12.2022წლის N1643917)
- მივიღეთ მონაწილეობა ა(ა)იპ პროფესიული უნარების განვითარების სააგენტოს პროგრამების „სტუდენტური და სასერტიფიკატო კურსი პრესტუდენტური სერვისების განვითარების ხელშეწყობის" ქვეპროგრამის საჯარო სკოლებში პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის კომპონენტის პროფესიული უნარების განვითარების სასერტიფიკატო კურსების ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში და მივიღეთ დაფინანსება. სასერტიფიკატო კურსი განხორციელდება სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეს საჯარო სკოლაში (N1628986 20.12.2022) პროექტის განხორციელებას დავიწყებს 2023 წლის გაზაფხულზე.
- კოლეჯმა მიიღო მონაწილეობა ა(ა)იპ პროფესიული უნარების განვითარების სააგენტოს მიერ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში "პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ექსტრაკურიკულური აქტივობების დანერგვა და განვითარება". კოლეჯი დაფინანსდა და სსიპ კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასთან პარტნიორობით, ახორციელებს პროექტს „ექსტრაკურიკულური აქტივობების დანერგვა და განვითარება - "ბუნების აქტივისტი".
- 2022 წელს კოლეჯში განხორციელდა გაეროს განვითარების პროექტის საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული პროექტი პროფესიული მომზადების პროგრამა „ხე-ტყის დამზადება". პროგრამა განხორცილდა ქობულეთისა და ხულოს მისამართზე. სულ მომზადდა 24 მსმენელი. პროექტი განხორციელდა სამუშაოზე დაფუძნელი სწავლების ფორმით სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს ბაზაზე.

8. ინფრასტრუქტურული პროექტები

კოლეჯის ტერიტორიაზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის „კულინარიის ხელოვნება", „კონდიტერია" და „სარესტორნო მომსახურება" სასწავლო ლაბორატორიების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით 19.08.2022 წელს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, რომელიც დასრულდა 09.09.2022 წელს. გამარჯვებულია შპს „ბი დი სი მოდერნ ჰაუსი" და 10.10.2022 წელს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება ნომრით N03-08/143 და ღირებულებით 1444441.00 ლარით. აღნიშნული სამუშაოები დაწყებულია და უნდა დასრულდეს მიმდინარე წლის მარტში.

სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა" სახანძრო უსაფრთხოებისა და საევაკუაციო სისტემის მოსაწყობად, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს მიერ მომზადებული საპროექტო სახარჯთაღიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე 2022 წლის ნოემბერ-დეკემბერში განხორციელდა შესაბამისი სამუშაოები - კოლეჯში (ქობულეთში) ოთხივე კორპუსში დამონტაჟდა ერთიანი სახანძრო-საევაკუაციო სისტემა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ტენდერში გამოვლინდა გამარჯვებული სულ 123 123, 00 ლარზე.

9. პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით განხორციელებული აქტივობები

მ/წ 26 დეკემბერს კოლეჯში მოეწყო წლის შემაჯამებელი ღონისძიება: „მიღწევები, გამოწვევები, მომავლის ხედვები", ღონისძიებას ესწრებოდნენ -საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს, აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების დირექტორები, რეგიონში არსებული პროფესიული განათლების მიმწოდებელი პროვაიდერები და კოლეჯის ბიზნეს-პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები. ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა კოლეჯის მნიშვნელოვანი მიღწევების, გამოწვევებისა და მომავლის ხედვების გაზიარება. ღონისძიებაზე გაიმართა პანელური დისკუსია თემაზე - პროფესიული განათლების განვითარების ტენდენციები და გამოწვევები. ღონისძიებაზე მადლობის სიგელებით დაჯილდოვდა ბიზნეს პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებიც კოლეჯთან ერთად ჩართულია პროგრამების წარმატებით განხორციელებაში. განსაკუთრებულად გამოიყო სასტუმრო „ჰილტონი ბათუმი ". აღნიშნულ სასტუმროსთან ერთად განხორციელებული პროგრამის ფარგლებში კოლეჯმა აიღო „პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო 2022". ღონისძიებაზე ასევე, მადლობის სიგელები გადაეცათ კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებს, ადმინისტრაციის წევრებს და ტექნიკურ პერსონალს.

„პროფესიული უნარების განვითარების მხარდაჭერა სკოლებში" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტული ქვეპროგრამაა. „აფხაზეთის ონლაინ სკოლის" საზაფხულო ბანაკის მონაწილეები ესტუმრენ კოლეჯს. პროფესიული არჩევანის გაკეთებაში დახმარების მიზნით, მოზარდებს პროფესიული განათლების შესაძლებლობები, ინოვაციური ლაბორატორიების მუშაობის სპეციფიკა და კოლეჯის პროგრამები გავაცანით.

კოლეჯი ხშირად მონაწილეობს ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა თუ რეგიონში დაგეგმილ ღონისძიებებსა თუ პროფესიულ გამოფენებზე:

მ/წ წლის 19 ნოემბერს მონაწილეობა მივიღეთ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაგეგგმილ საშემოდგომო ფესტივალში ,,მანდარინობა" 28 ივლისს მონაწილეობა მივიღეთ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწყობილ ღონისძიებაში "მზე სოფელში ანათებს" მ/წ 6 იანვარს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში- ,,საშობაო სოფელი'' წარვადგინეთ სტუდენტების ნამუშევრები

მონაწილეობას ვღებულობთ ადგილობრივ ტელე-რადიო გადაცემებში

10. პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო

2022 წელს პროფესიული მომზადების პროგრამამ "კერძების მომზადების ტექნოლოგია" მიიღო ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო | MCA - Georgia მიერ გამოცხადებულ კონკურსში 2022 წლის **პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო.**

11. საქმისწარმოების შესახებ

2022 წელი ერთი წელი საკმაოდ დატვირთული იყო, როგორც საბიუჯეტო ჯგუფის ასევე არასაბიუჯეტო ჯგუფის, მათ შორის პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროფესიული მსმენელების მოძრაობით.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები იქნა გატარებული სამართალშემოქმედებითი იდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების კუთხით, ფინანსურ და შესყიდვების სამსახურთან ერთად, სახელმწიფო შესყიდვების კუთხით.

საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ჯგუფების სასწავლო პროცესის კუთხით კოლეჯში გაფორმებულია იქნა 222 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, არასაბიუჯეტო ჯგუფებში ტრენინგ-კურსზე 2022 წლის იანვრიდან დღეის მდგომარეობით კოლეჯში ჩარიცხული იქნა 330 მსმენელი, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების

129 მსმენელი, ხოლო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჯგუფებში 862 პროფესიული სტუდენტი.

პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მოძრაობასთან დაკავშირებით მომზადებული იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჯგუფებში 80, არასაბიუჯეტო ჯგუფებში ტრენინგ-კურსზე 200 და პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების 23 სამართლებრივი აქტი - ბრძანება. ჯამში სხვადასხვა კუთხით კოლეჯში მომზადებული იქნა 887 (ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი - ბრძანება):

- პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვის მიზნით, კოლეჯში (ხელახლა) აყვანილი იქნა 183 პროფესიული მასწავლებლები და მათთან შესაბამის მიღებაზე მომზადებული იქნა შესაბამისი დანიშნვნის ბრძანებები და შრომითი ხელშეკრულებები;
- საშტატო განრიგით და შტატგარეშე თანამშრომლებთან დანიშნვნა/გადანიშნვნასთან დაკავშირებით გაფორმებული იქნა 58 შრომითი ხელშეკრულება (მათ შორის წინარე შრომითი ხელშეკრულებები);
- კოლეჯში დაგეგმილი მიზნების განსახორციელებლად გამოცემული იქნა თანამშრომლების (დირექციის, ადმინისტრაციის და დამახმარე პერსონალების) დანიშნვნის შესახებ შესაბამისი ბრძანებები და მათთან გაფორმებული იქნა შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები;
- 2022 წელს სხვადასხვა იურიდიულ პირებთან გაფორმებული იქნა ახალი ურთიერთთანამშრომლობის 40 მემორანდუმი/ხელშეკრულება, ასევე გაფორმებულია სხვადასხვა მიმართულებით 14 მომსახურების ხელშეკრულება;

12. 2022 წლის ფანანსური ანგარიშის შესახებ

მოგახსენებთ, რომ 2022 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში განსაზღვრული იყო სავარაუდო შემოსავლები როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროგრამული დაფინანსების ფარგლებში, ასევე ვაუჩერული და საკუთარი სახსრების დაფინანსების ფარგლებში.

2022 წლის დასაწყისში დამტკიცდა 2022 წლის ბიუჯეტი, რომელიც დაგეგმილი იყო რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე, როგორც შემოსავლით, ისე ხარჯვით ნაწილში. კოლეჯს 2022 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მიღებულმა შემოსავალმა პროგრამული დაფინანსების ფარგლებში სახაზინო კოდი (32030103) შეადგინა 1 223 747,00 ლარი. კოლეჯში რიცხულ პროფესიულ სტუდენტზე მიღებულია ვაუჩერული დაფინანსება 2 758 558,00 (ორი მილიონშვიდასორმოცდათვრამმეტი ათას ხუთასორმოცდათვრამმეტი) ლარი.

კოლეჯის არასაბიუჯეტო შემოსავლებმა შეადგინა 318 090,00,00 ლარი, კერძოდ შენობის ფართის იჯარით გადაცემიდან მიღებულია 28 370,00 ლარი, პროფესიული სტუდენტების მიერ ფასიანი სწავლებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 182 125,00 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების წარმომადგენლობის (შემდგომში წოდებული UNDP) მიერ ჩამორიცხული იქნა 11 450,00 ლარი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან გრანტის სახით მიღებულია 89 129,00 ლარი პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების დასაფინანსებლად, კოლეჯის ბაზაზე არსებული სტუდენტური კაფიდან და სხვა კოლეჯის მიერ გაწეული მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა - 5 375,00 ლარი, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები(ხელშეკრულების დარღვევიდან დაკისრებული პირგასამტეხლო) –1641 ,00 ლარი.

2022 წლის კოლეჯის ბიუჯეტის შემოსავლები და გადარიცხვითი ოპერაციები განხორციელებულია კანონმდებლობის შესაბამისად. კოლეჯის დირექტორი თანხებს

განკარგავს 2022 წლის ბიუჯეტის ცალკეული მუხლების შესაბამისად. 2022 წლის 01 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენს 3 631 717,0,00 ლარს.

სანგარიშგებო პერიოდში გახარჯული იქნა ჩვენს მიერ სახაზინო კოდზე 32030103 სუბსიდიებში, სხვა ხარჯებში და არაფინანსური აქტივში - 1 223 747,00 ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურების სახით გაცემული იქნა 835 520,00 ლარი, პრემია 51 590,00 ლარი პროგრამული დაფინანსების ფარგლებში 2022 წელს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურებაზე, კერძოდ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტზე და ზრდასრულთა განათლების კოორდინატორზე გაიცა - 24 000,0 ლარი; მივლინება -18 396,00 ლარი, სამედიცინო ხარჯები -1 102,00 ლარი, სხვა საოფისე ხარჯი - 201 504,00 ლარი, წარმომადგენლობით ხარჯებში - 494,00 ლარი, რბილი ინვენტარი-420,00 ტრანსპორტის საწვავი და შეკეთება - 21 449,00 ლარი, დამქირავებლის მიერ გაცემულ სოციალური დახმარების ხარჯებში 5 395,00 ლარი, არაფინანსურ აქტივებში: ავტორიზაციის საფასური 60 979,00 სხვა ხარჯი: მოსაკრებელი - 2 898,00 ლარი.

ვაუჩერული დაფინანსებიდან გაიხარჯა 2 980 377,00 (ორი მილიონ ცხრაას ოთხმოციათას სამასსამოცდაჩვიდმეტი) ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურება - 1 438 700,00 ლარი, საქონელი და მომსახურება - 682 234,00 ლარი, მათ შორის- ოფისის ხარჯი - 44 415,00 ლარი,რბილი ინვენტარი და უნიფორმა - 101 156 ,00 ლარი, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპულატაციისა და და მოვლა-შენახვის ხარჯებში - 7930,00 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯებში - 528 733,00 ლარი, არაფინანსური აქტივის გაზრდა, სხვა მანქანა დანადგარები - 140 739,00 ლარი, შენობა-ნაგებობები - 713 031,00 ლარი, სხვა ძირითადი აქტივები - 3 272,00 ლარი, სხვა ხარჯები - 2400,00

საკუთრი სახსრებიდან გაიხარჯა სულ 197 148,00 ლარი; შრომის ანაზღურება - 149 399,00 ლარი, ოფისის ხარჯი 9 550,00 ლარი, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპულატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებში 14 696,00 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯებში - 8 208,00, სხვა ხარჯებში 11 569,00 ლარი მანქანა დანადგარების და ინვენტარის შეძენის მუხლი - 3 551,00 ლარი, ავტორიზაცია- 175,00 ლარი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების წარმომადგენლობის (შემდგომში წოდებული UNDP) მიერ პროექტის „საქართველოში პროფესიული მომზადება/გადამზადების სისტემის მოდერნიზება სოფლის მეურნეობის სფეროში" ფარგლებში ჩამორიცხული 11 450,00 ლარიდან გაიხარჯა 11 450,00 ლარი; აქედან პედაგოგებს ჩაერიცხათ შრომის ანაზღაურების სახით - 7 200,00 ლარი, პროფესიული სტუდენტების ტრანსპორტირებისათვის 4 250,00 ლარი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსებიდან წარმოქმნილი ეკონომიით სსიპ საგანმანათლებოლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ შედგენილი ხარჯთაღიცხვის საფუძველზე მიმდინარეობს საკონდიტრო და კულინარიის ხელოვნების ლაბორატორიების მშენებლობა, რომლის მთლიანი სახართაღრიცხო ღირებულება შეადგენს 1 444 441,0 ლარს, საიდანაც მიმდინარე წელს ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას შპს „ბი დი სი მოდერნ ჰაუს"-ს ავანსის სახით ჩაერიცხა 577 776,40 ლარი, ასევე დასრულდა სახანძრო უსაფრთხოებისა და საევაკუაციო სისიტემის მოწყობის სამუშაოები ღირებულებით 135 255,0 ლარი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო ნაშთი გვერიცხება ვაუჩერული დაფინანსების წყაროდან - 3 282 347,00 ლარი, საკუთრი სახსრების დაფინანსების წყაროდან - 27 348,00 ლარი, ინფრასტრუქტურის დაფინანსების წყაროდან - 26 862,0 ლარი, პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების დასაფინანსების წყაროდან (გრანტი) – 11 399,00 ლარი, სულ - 3 347 956,00 ლარი.

ბატონო მიხეილ, ზემოთ აღწერილი სამუშაოების განხორციელება, ფაქტობრივად შეუძლებელი იქნებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული

ცენტრის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების და პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერის გარეშე.

პატივისცემით,